დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ირინე ფხაკაძე

წევრები:

ქეთევან ღვანიძე

ინგა ბოჭოიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------



(ქალაქი,წელი)

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: სსიპ

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 16/06/2020 MES 5 20 00475693 ბრძანების საფუძველზე მიმდინარე წლის 25 ივნისს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა (ჯგუფის შემადგენლობა: ირინე ფხაკაძე - ჯგუფის თავმჯდომარე, ქეთევან ღვანიძე - ჯგუფის წევრი, ინგა ბოჭოიძე - ჯგუფის წევრი) განახორციელა ვიზიტი სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა საგანმანათლებლო პროგრამის ,,სკოლამდელი აღზრდა“ დამატების მიზნით ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

დღის წესრიგის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა მოისმინა დაწესებულების ადმინისტრაციის (ონლაინ ჩართვის ფარგლებში) ხედვა დასამატებლად წარმოდგენილ პროგრამებთან მიმართებაში, შეაჯერა წინასწარ ცენტრში წარმოდგენილი პროფესიული პროგრამა, გაეცნო დაწესებულების მარეგულირებელ დოკუმენტაციას და გაესაუბრა თსუ პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელს, თსუ პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელის პირველ მოადგილეს და „სკოლამდელი აღზრდის“ პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელს, ადგილზე გადაამოწმა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, განხორციელდა ვიზიტი პრაქტიკის ობიექტზე, ექსპერტები გაესაუბრნენ პროფესიულ მასწავლებლებს.

ვინაიდან „სკოლამდელი აღზრდის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უნდა განხორციელდეს უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულების ბაზაზე, ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში მუშაობდა წევრი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსიდან, რომლის ჩართულობის მიზანს წარმოადგენდა უმაღლესი და პროფესიული სწავლების რესურსების, მარეულირებელი წესების და სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში მათი გამიჯვნის არსებობის დადგენა. უნივერსიტეტის მატერიალური და ადამიანური რესურსების გადამოწმებით დადგინდა, რომ დასამატებლად წარმოდგენილი „სკოლამდელი აღზრდის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ქუთაისში (ნიკეას მე-2 შეს. #8) განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში, არ იქმნება უნივერსიტეტის მიერ აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რისკი, ვინაიდან უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ფილიალში ხორციელდება მხოლოდ პროფესიული პროგრამები, რომელთა განხორციელებაში არ არის ჩართული აკადემიური პერსონალი, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პროფესიული სწავლების მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებიც ცალსახად დამოუკიდებელი დოკუმენტებია და არ იკვეთება განათლების უმაღლესი საფეხურის პროგრამების არსებულ რეგულაციებთან, ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე არ მოხდება უმაღლესი საგანმამათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა. ამასთანავე, პროფესიული პროგრამების განვითარების და ახალი პროგრამების დანერგვის პოლიტიკა თსუ-ში ასახულია უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმაში, კერძოდ, საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებაში- საგანმანათლებლო საქმიანობა, მეხუთე სტრატეგიული მიზნის ამოცანაში - „ცალკეული მიმართულებების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სახით“.

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

თსუ-ს საქართველოში არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებთან ურთიერთთანამშრომლობის კარგი გამოცდილება აქვს, რაც გამოიხატება ერთობლივი სამუშო შეხვედრებისა და სემინარების ჩატარებით. სადაც ხდება გამოცდილების გაზიარება, ახალი იდეების გენერირება და შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით სასწავლო პროცესში ახალი მიდგომების დანერგვაზე მსჯელობა. ასევე, თსუ აქტიურად თანამშრომლობს ესტონეთის პროფესიული განათლების ცენტრებთან, რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას.

აღნიშნული დასტურდება შეხვედრების ამსახველი დოკუმენტებით.

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციებზე დაწესებულებამ მოახდინა რეაგირება და წარმოადგინა ინფორმაცია შესრულების შესახებ:

რეკომენდაცია N1

ახალ მემორანდუმებში ასახულია დეტალურად ინფორმაცია თუ რომელ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებშია გაფორმებული კონკრეტული მემორანდუმი და რა მიზნით, ასევე მითითებულია პროფესიული სტუდენტების რაოდენობა, რომელიც უნდა მიიღოს ორგანიზაციამ.

რეკომენდაცია N2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კატალოგში მითითებულია ყველა ის პროფესიული პროგრამა, რომელიც ხორციელდება თსუ-ში დეტალური აღწერილობით, ასევე არის მითითებული პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილი, მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია.

რეკომენდაცია N3

ესტონელი პარტნიორების (ესტონეთის პროფესიული განათლების ცენტრი „Ida-Virumaa kutsehariduskeskus“) ჩართულობით დაიგეგმა და მუშაობა დაწყებულია ახალი ელექტრონული სისტემის შექმნაზე, რომელიც მოემსახურება პროფესიული პროგრამების სასწავლო პროცესის ორგანიზებას და წარმართვას.

რეკომენდაცია N4

თსუ-ს ახალი ვებ-გვერდის სტრუქტურაში პროფესიულ განათლებას აქვს საკუთარი გვერდი, სადაც არის წარმოდგენილი ინფორმაცია პროფესიული პროგრამების მარეგულირებელი დოკუმენტების შესახებ. ვებ-გვერდი არის სატესტო რეჟიმში და მისი გაშვება იგეგმება უახლოეს მომავალში.

რეკომენდაცია N5

2019 წლის ივნისში შეიქმნა უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეული - „თსუ პროფესიული განათლების ცენტრი“, რომელსაც დაევალა თსუ-ში მოქმედი ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება. ცენტრი საკუთარ საქმიანობას წარმართავს თბილისსა (მისამართი: უნივერსიტეტის ქ. N2, N11, ილია ჭავჭავაძის გამზ. N11[3]) და ქუთაისში (მისამართი: ნიკეას მე–2 შესახვევი N 8). პროფესიული განათლების ცენტრს აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, ასევე მიმდინარე წლის ბოლომდე დაგეგმილია პროფესიული პროგრამების სუბსტრატეგიის შემუშავება და ახალი მოკლე და გრძელვადიანი სტრატეგიული სამოქმედო გეგმების დამტკიცება.

რეკომენდაცია N8

თსუ პროფესიული განათლების ცენტრის შექმნის შემდეგ გადამუშავდა და ახლიდან დამტკიცდა პროფესიული პროგრამების მარეგულირებელი დოკუმენტები და პროფესიული პროგრამების შემუშავებას ახდენს თსუ პროფესიული განათლების ცენტრი, ხოლო მათი დამტკიცება ხდება რექტორის ბრძანებით თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

VI.გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

VII.რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაციები:

2.3.1.1 რეკომენდირებულია პროგრამის შეფასების მექანიზმის გაწერა პროცედურის სახით;
2.4.1.1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესახებ დადგენილება (დადგენილება 94, 22.07. 2019, მუხლი 15, პუნქტი 5) საჭიროებს კორექტირებას.
2.4.2.2. უნდა გაიწეროს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის პროცედურა

2.4.2.3. რეკომენდირებულია შეფასების უწყისის წარმოების, შენახვის განსაზღვრული პროცედურის შემუშავება მოკლე ვადაში.

განვითარების რეკომენდაციები:

2.2.1 ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციით სასურველია თანამშრომლობა სახელმწიფო ბაღებთან პროგრამის კურსდამთავრებულის კომპეტენციების სრულყოფის მიზნით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

პროგრამის სახელწოდება	სკოლამდელი აღზრდა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	რექტორის ბრძანება # 97/01-01 (01/06/2020) სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. ქუთაისი, ნიკეას მე-2 შესახვევი #8
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40 პროფესიული სტუდენტი, ქ. ქუთაისი,ნიკეას მე-2 შესახვევი #8
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან,პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს*(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	**სრული 3**	მეტწილი 2	
2.2) პროგრამისგანხორციელებისრესურსი	სრული 3	**მეტწილი 2**	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლოპროგრამებისშეფასებადაგანვითარება	სრული3	**მეტწილი 2**	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	**მეტწილი 2**	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასებახორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2.საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების აკადემიური საბჭოს მიერ შემუშავებული (22/06/2019/-#96/2019) „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასების და განვითარების წესის დამტკიცების შესახებ''დადგენილების თანახმად, დაწესებულებას შექმნილი აქვს სამუშაო ჯგუფი (12/03/2020 – ბრძანება # 03/127–01), რომელთაც ევალებათ შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის ანალიზი, შემდგომ, ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საჭიროების განსაზღვრა. დაწესებულების სამუშაო ჯგუფს წარმოდგენილი აქვს პროფესიული პროგრამების შერჩევის, დაგეგმვისა და შემუშავების ანგარიში. დოკუმენტის თანახმად პირველი შეკრება განხორციელდა დისტანციურად ა/წ 16 მარტს, სადაც ჯგუფმა შეიმუშავა მოქმედების გეგმა და პირველ ეტაპზე დაიწყო იმ დოკუმენტების შესწავლა, რომელიც ახალი პროფესიული პროგრამის იდენტიფიცირებისთვის იყო საჭირო. კონკრეტულად პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ საჭიროების განსასაზღვრად ჯგუფმა შეისწავლა საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტროს მიერ ჩატარებული კვლევები პროფესიული განათლების მიმართულებით, ასევე გაეცნო თბილისის მერიისა და თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ვებგვერდებს. წარმოდგენილი ანგარიშიდან ვგებულობთ, რომ სამუშაო ჯგუფს კომუნიკაცია ჰქონდა თსუ-ში ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი“ ხელმძღვანელთან, რომელთანაც განხილული იქნა ახალი პროფესიული პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ შემუშავების საკითხი. ხელმძღვანელთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ აღნიშნულ პროგრამაზე იკვეთება აპლიკანტთა მაღალი ინტერესი, რასაც ადასტურებს 2019 წლის შემოდგომის მიღებაზე თბილისსა და ქუთაისში არსებული რაოდენობრივი მონაცემები.

   სამუშაო ჯგუფმა მოქმედების შემდგომ ეტაპზე მიზნად დაისახა პროფესიული პროგრამის მიზანშეწონილობისა და რეკომენდაციების შემუშავება. პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ შემუშავების საფუძვლად ჯგუფმა გამოკვეთა რამოდენიმე გარემოება: ამ პროგრამის განხორციელებით დაწესებულება გააგრძელებს პროფესიული განათლების განვითარებაში საკუთარი წვლილის შეტანას და შეძენილი გამოცდილების გადაცემას. დაწესებულება საშუალებას მისცემს ყველა დაინტერესებულ პირს შეიძინოს ახალი ცოდნა ან აიმაღლოს კვალიფიკაცია ამ მნიშვნელოვან პროფესიაში, რომელიც ემსახურება განათლების სისტემის მდგრადობას. დაწესებულებას ასევე პრიორიტეტად მიაჩნია ის, რომ პროგრამის ეფექტიანი განხორციელებისათვის მოწვეული ჰყავს საუკეთესო გამოცდილებისა და საკუთარი საქმის პროფესიონალი დარგის მასწავლებლები. დაწესებულების აზრით შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად, სკოლამდელი აღზრდის კვალიფიცირებული კურსდამთავრებული ყოველთვის იპოვის დასაქმებისთვის შესაბამის ორგანიზაციას.

   ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიაა: ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისა და საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა; ახალი ცოდნის შექმნა, შენახვა და გავრცელება; სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

უნივერსიტეტის გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ განხორციელების შესახებ არგუმენტირებულია, შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, სადაც მკაფიოდაა განსაზღვრული ცალკეული მიმართულებების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება.

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სკოლამდელი აღზრდა“ დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება. დაწესებულების განმარტებით აპლიკანტი პროგრამაზე სწავლის უფლებას მოიპოვებს საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული პროცედურების გავლის შემდეგ.
3. თსუ – ს შემუშავებული აქვს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“(22/07/2019წ. #95/2019), რომელიც ითვალისწინებს პროგრამაზე ჩასარიცხი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის დადგენისას შესაბამისი სასწავლო სივრცის არსებობას, კერძოდ A, B და C (საჭიროების შემთხვევაში) გარემოს მათი ინფრასტრუქტურის რაოდენობრივ მაჩვენებლებით. ამასთან, მეთოდოლოგია ითვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომ პროფესიულმა პროგრამამ შესაძლებელია იმუშაოს ორ ცვლაში. პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ განსახორციელებლად, დაწესებულების მიერ გამოყოფილი გარემო საშუალებას იძლევა ერთ ცვლაში მიიღოს 20 ხოლო შესაბამისად, ორ ცვლაში 40 პროფესიული სტუდენტი.
4. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი (პროგრამის დანართი 4) და სასწავლო რესურსი, რომლებიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში. აღნიშნული რესურსი გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.
5. საგანმანათლებლო პროგრამას „სკოლამდელი აღზრდა“ არჩევითი მოდულები არ აქვს.
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა“ დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის, თსუ-ს რექტორის 2020 წლის 1 ივნისის # 97/01-01)ბრძანებით. მის მიერ პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის #96/2019 დადგენილებით „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების წესი“– თ.
7. პროგრამის დასახელება შეესაბამება პროგრამის შინაარსს. დაწესებულების მიერ შემუშავებული პროგრამის სახელწოდებაა “ სკოლამდელი აღზრდა“, იგი არ არის შეცდომაში შემყვანი, ვინაიდან შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული სკოლამდელი აღზრდის პროფესიასთან. პროგრამის სწავლის შედეგებია: 1. ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჰოლისტური განვითარება, მათი ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით; 2.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

მრავალფეროვანი, მასტიმულირებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვა და მართვა; 3. ბავშვის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების გამოყენება; 4.წარმატებული,უსაფრთხო,მხარდამჭერი სააღმზრდელო გარემოს შექმნა;

8. პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის „აღმზრდელი“ საფუძველზე და მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 12 დეკემბრის N192/ნ ბრძანებით დამტკიცებული “აღმზრდელის” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, სწავლის შედეგად მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობანი; სტრუქტურა და მოდულები.
პროგრამას თან ერთვის ზოგადი და სავალდებულო მოდულები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ და სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის. რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით.საგანმანათლებლო პროგრამა და მოდულები ადაპტირებულია.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 116 კრედიტია, აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 11 (3 მოდული), ხოლო სპეციალიზაციის/ პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 105 კრედიტი (24 მოდული). სწავლების ხანგრძლივობაა 22 სასწავლო თვე.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 146 კრედიტია. სწავლების ხანგრძლივობა 25 სასწავლო თვე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის #96/2019 დადგენილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასების წესის დამტკიცების შესახებ;
- თსუ-ს პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელის 2020 წლის 12 მარტის # 03/127-01 ბრძანება, საგანმანათლებლო პროგრამების დამატების მიზნით, პროგრამის შერჩევის, დაგეგმვისა და შემუშავების სამუშაო ჯგუფის შექმნასთან დაკავშირებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

- საგანმანათლებლო პროგრამების დამატების მიზნით, პროგრამის შერჩევის, დაგეგმვისა და შემუშავების სამუშაო ჯგუფის ანგარიში;
- თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის #95/2019 დადგენილებაპროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ;
- თსუ-ს რექტორის ბრძანება პროფესიული პროგრამების დამტკიცებასთან დაკავშირებით (01/06/2020 - #97/01-01);
- საგანმანათლებლო პროგრამა და მოდულები;
- სამუშაო ჯგუფის ანგარიში.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი პროფესიული პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტს გააჩნია განსაზღვრული A და B გარემო და შესაბამისი აღჭურვილობა 20 პროფესიულ სტუდენტზე. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტების მიერ მოხდა აღნიშნული აუდიტორიების გადამოწმება, A გარემო- #111 აუდიტორია, B გარემო - #112 აუდიტორია, აღჭურვილია საჭირო რესურსით 20 პროფესიულ სტუდენტზე. კერძოდ, კოლეჯს მფლობელობაში აქვს მაგიდა და სკამი 20 პროფესიულ სტუდენტზე, 20 კომპიუტერი, 1დაფა, 1 პროექტორი და 1 – პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა, სკამი). აღნიშნულ პროგრამაზე კოლეჯს სურს სულ 40 პროფესიული სტუდენტის დამატება (20 სტუდენტი ორ ცვლაში).

   საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა“ ითვალისწინებს ორი პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულის სწავლებას. ესენია „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით თსუ–ს გაფორმებული აქვს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები, ინდმეწარმეებთან, საბავშვო ბაგა–ბაღები „ჩემი ბაღი“ (04/02/2020 – #09/05) და „ვარსკვლავები“ (04/02.2020 – 10/05) მემორანდუმში აღნიშნულია, რომ მხარეები თანხმდებიან, მასზედ რომ ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების, დამსაქმებელთან პროფესიული სტუდენტის დაახლოვების, შრომის ბაზრისთვის მათი უკეთ მომზადების მიზნით, ორგანიზაცია და უნივერსიტეტი პერიოდულად მოაწყობენ ერთობლივ ღონისძიებებს, შეხვედრებსა და სემინარებს. პარტნიორი ორგანიზაცია იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ 10 (ათი) პროფესიული სტუდენტი პრაქტიკის ობიექტით. შეუქმნას მათ ამისათვის სათანადო პირობები, უზრუნველყოს სტუდენტების პრაქტიკაში მაქსიმალური ჩართულობა. განიხილოს სტუდენტის პრაქტიკის წარმატებით დასრულების შემთხვევაში მათი დასაქმების საკითხი. პრაქტიკის ობიექტზე დანიშნოს მენტორი, რომელიც უზრუნველყოფს პრაქტიკის ხელმძღვანელის დახმარებას.

   ვინაიდან ექსპერტების მხრიდან დიდი ინტერესი გამოიწვია იმან თუ რამდენად აკმაყოფილებდა კერძო ბაღი პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მოთხოვნებს პრაქტიკის ობიექტთან მიმართებაში, მათ მიერ მოხდა პრაქტიკის ობიექტის დათვალიერება. ვიზიტი განხორციელდა ბაგა–ბაღში „ვარსკვლავები“, აღმოჩნდა, რომ საბავშვო ბაგა–ბაღს აქვს საკუთარი ცალკე მდგომი სამსართულიანი შენობა, ეზო ბავშვების სათამაშო ადგილით და ტერასა. ბაგა – ბაღში 7 (შვიდი) ყველა ასაკობრივი ჯგუფია, რომლისათვისაც გამოყოფილია ინდივიდუალური სააღმზრდელო ოთახები, პატარებისათვის საჭირო უსაფრთხო ინვენტარითა და სათამაშოებით, საძინებლებითა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

სველი წერტილებით, ბაგა–ბაღს აქვს მუსიკალური დარბაზი და სასადილო ოთახი აღსაზრდელებისათვის. სააღმზრდელო გარემო ბაღში ლამაზი და მყუდროა. ექსპერტები გაესაუბრნენ ბაღის ხელმძღვანელს, გასაუბრებიდან გაირკვა, რომ ბაღში მომუშავე პერსონალი, აღმზრდელები და აღმზრდელის თანაშემწეები აღნიშნულ პოზიციაზე შერჩეულნი არიან, მათი კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესაბამისად. ბაგა–ბაღის ხელმძღვანელის თქმით დაწესებულება მუშაობს სკოლამდელი დაწესებულების სტანდარტების შესაბამისად და იყენებს სახელმწიფო ბაგა–ბაღებისათვის დამტკიცებულ მეთოდოლოგიას. *ვინაიდან კერძო და სახელმწიფო ბაღებში სასწავლო სააღმზრდელო პროცესი ხორციელდება განსხვავებულად ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციით - სასურველია თანამშრომლობა სახელმწიფო ბაღებთან პროგრამის კურსდამთავრებულის კომპეტენციების სრულყოფის მიზნით.*

2. ქ. ქუთაისში პროგრამას განხორციელების მიზნით შერჩეული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდლების მქონე 17 მასწავლებელი, რომელთაგან 13 ახორციელებს სავალდებულო პროფესიულ, ხოლო 4 ზოგად მოდულებს, ინტერვიურებით გამოიკვეთა მათი აქტიური მონაწილეობა „სკოლამდელი აღზრდის“ პროფესიული პროგრამის შემუშავების პროცესში და პროგრამის ხელმძღვანელთან მჭიდრო თანამშრომლობა, რაც პროგრამის წარმატებით განხორციელების წინაპირობაა. პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულებები. ხელშეკრულების მიხედვით დამსაქმებელი ვალდებულებას იღებს პროფესიული პროგრამის ამოქმედებისთანავე დასაქმებულთან გააფორმოს დამატებითი შეთანხმება, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი დასაქმებულის ფუნქცია მოვალეობები, შესასრულებელი საათების რაოდენობა და ანაზღაურება. პროგრამის სასწავლო გეგმა შედგენილია მასწავლებელთა რეალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, რომელთა დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.
3. პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება განმახორციელებელი პერსონალის კომპეტენცია მათი კვალიფიკაციით ან/და პრაქტიკული სამუშაო გამოცდილებით. ვიზიტის პერიოდში, ექსპერტები შეხვდნენ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს, გასაუბრების შედეგად კიდევ ერთხელ გამოიკვეთა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პროფესიული მასწავლებლებით. მასწავლებელთა უმრავლესობას ასევე აქვს მოდულური სწავლების გამოცდილება აღნიშნულ პროგრამაზე. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს მასწავლებელთა შეხვედრა სემინარებზე დასწრების ფურცლები, რაც ადასტურებს იმას, რომ პროფესიული სტუდენტის შეფასების სპეციფიკის გათვალისწინებით, დაწესებულება პროფესიულ მასწავლებლებთან მართავს ტრენინგებსა და კონსულტაციებს შესაბამისი უნარების გაუმჯობესების მიზნით.
4. პროგრამის ხელმძღვანელის უფლება მოვალეობები აღწერილია თსუ–ს (22/06/2019/-#96/2019) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასების და განვითარების წესში. დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამისათვის „სკოლამდელი აღზრდა“ ჰყავს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი ნინო მამრიკიშვილი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბაგაბაღის აღმზრდელი-პედაგოგი“ პრაქტიკოსი მასწავლებელი, რომელსაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

აქვს შემდეგი მოდულების: „ადრეული განათლების კურიკულუმი“, „ადრეული განვითარების თავისებურებები“, „თანამედროვე ბავშვის სკოლამდელი განათლების“ სწავლების გამოცდილება, ამასთანავე ის მონაწილეობდა შემდეგ ტრენინგებში - „ბავშვზე ორიენტირებული სასწავლო მიდგომები და მეთოდები სკოლამდელ დაწესებულებებში“, „თამაშის პედაგოგიკა სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკის მოზარდებისათვის“, „სკოლამდელი განათლების განვითარება საქართველოში“, „თამაშის როლი ადრეული ასაკის ბავშვის უფლებებისა და საჭიროებების გათვალისწინებით“. პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიურებით გამოიკვეთა მისი აქტიური მონაწილეობა „სკოლამდელი აღზრდის“ პროფესიული პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების პროცესში, გასაუბრებით ასევე დადასტურდა ნინო მამრიკიშვილის, როგორც დარგის სპეციალისტის კვალიფიკაცია.

5. „სკოლამდელი აღზრდის’’ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით დაწესებულების ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ექსპერტების მიერ ადგილზე გადამოწმდა დაწესებულების ბიბლიოთეკა და დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია ძირითადად ელექტრონული სახით, ჩაწერილია CD დისკებზე და გატარებულია ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნში. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე.
6. თსუ–ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის # 94/2019 დადგენილებაში „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგურილებელი წესის დამტკიცების შესახებ“ შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები (თავი VIII), რომლის თანახმადაც სსსმ და შშმ პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას ცენტრი ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტების, სპეციალისტების ასისტენტების, სსსმ პირის გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირისა და კვალიფიციური პედაგოგების მეშვეობით. დადგენილებით ასევე განსაზღვრულია ინდივიდუალური გეგმის შემუშავების საფუძვლები. წესის თანახმად ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება სწავლის დაწყებიდან 5 დღის განმავლობაში სსსმ და შშმ პროფესიულ სტუდენტთან შეთანხმებით, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის მიერ სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასა და მოდულს და უზრუნველყოფს სსსმ პირების მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
   დაწესებულების ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ დაწესებულება ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად: მას აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემო. პანდუსი შენობის მთავარ შესასვლელში, ასევე სართულებს შორის დამაკავშირებელი სპეციალური დასადგამი პანდუსი და სველი წერტილი.
7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია „სკოლამდელი აღზრდის“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის შედგენილია სავარაუდო ბიუჯეტის ფორმა, რომელიც შედგება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, სავარაუდო ბიუჯეტი შედგენილია 20 პროფესიულ სტუდენტზე (ერთ ცვლაში) გაანგარიშებით, თუმცა შემოსავლების ნაწილში, ვაუჩერული დაფინანსების თანხა აღებულია დაწესებულების მიერ განხორციელებული პროგრამის“ ბაგა–ბაღის ამღზრდელი პედაგოგი“ პროგრამიდან. პროფესიული სტუდენტის ვაუჩერული/მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსება და აპლიკანტთა მხრიდან თსუ-ს პროფესიული პროგრამებისადმი მაღალი ინტერესი, უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები;
- განამახორციელებელ პერსონალთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულებები;
- განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;
- თსუ–ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის # 94/2019 დადგენილება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგურილებელი წესის დამტკიცების შესახებ“;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1. პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. თსუ-ში პროფესიული პროგრამების შეფასება და განვითარება რეგულირდება თსუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №96/2019 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების წესით“. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებას უზრუნველყოფს თსუ პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან კოორდინირებული მუშაობით. ზემოთ აღნიშნული წესის მე-13 მუხლი, რომელიც ეხება მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას, არის წარმოდგენილი ძალიან მოკლედ და პროგრამის შეფასების მექანიზმს არ აღწერს. ამ საკითხთან დაკავშირებით, პროფესიული ცენტრის ხელმძღვანელობასთან (ხარისხის მენეჯერთან გასაუბრება ვერ მოხერხდა) გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ რეალურად დაწესებულება სტუდენტების და პედაგოგების გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, დაინტერესებული მხარეების აზრის გათვალისწინებით აწარმოებს პროგრამის შეფასებას, თუმცა შეფასების მექანიზმის კრიტერიუმები რომელიმე ნორმატიულ დოკუმენტში წარმოდგენილი არ არის. უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტი მუშაობს აღნიშნული მიმართულებით რათა დახვეწოს პროგრამის შეფასების არსებული მექანიზმი.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ დახვეწოს პროგრამის შეფასების მექანიზმები.

პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელმა გასაუბრების დროს აღნიშნა, რომ იმერეთის რეგიონში დარგის სპეციალისტებზე მოთხოვნები იზრდება, აღნიშნულის გათვალისწინებით იქნა პროფესიული პროგრამის შემუშავების გადაწყვეტილება (შრომის ბაზრის კვლევის ოფიციალური დოკუმენტი და მისი ანალიზი წარმოდგენილი არ არის).
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების წესის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია პროფესიული პროგრამის ჩარჩო დოკუმენტთან შესაბამისობით შექმნასა და მის მოდიფიკაციაზე. ასევე, პროგრამის ერთი სრული ციკლის დასრულების შემდეგ ის წარმოადგენს ანგარიშს სადაც ასახული უნდა იყოს პროგრამის განვითარების რეკომენდაციები. პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ პროგრამის შემუშავების საწყის ეტაპზე ჯერ მოხდა სამუშაო ჯგუფის ფორმირება და შემდგომ განხორციელდა ჩარჩო დოკუმენტის ადაპტირება სასწავლებლის მიერ. არაფერი ცვლილებები და მოდიფიცირება პროგრამას არ განუცდია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

თსუ-ს საქართველოში არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებთან ურთიერთთანამშრომლობის კარგი გამოცდილება აქვს, რაც გამოიხატება ერთობლივი სამუშო შეხვედრებისა და სემინარების ჩატარებით. სადაც ხდება გამოცდილების გაზიარება, ახალი იდეების გენერირება და შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით სასწავლო პროცესში ახალი მიდგომების დანერგვაზე მსჯელობა. ასევე, თსუ აქტიურად თანამშრომლობს ესტონეთის პროფესიული განათლების ცენტრებთან მათი გამოცდილების გაზიარების მიზნით.

აღნიშნული დასტურდება შეხვედრების ამსახველი დოკუმენტებით.

2. თსუ პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე იდენტიფიცირებული სუსტი და ძლიერი მხარეების, ასევე, გასაუმჯობესებელი მიმართულებებისა და შესაბამისი რეკომენდაციების მითითებით ანგარიშს წარუდგენს პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელს და თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს. პროფესიული განათლების ცენტრი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში ცვლილებებისთვის საჭირო პროცედურების განხორციელებას. ვინაიდან სკოლამდელი აღზრდის პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამა არის ახალი შემუშავებული, შესაბამისად, მთელი რიგი პროცედურები ამ ეტაპისთვის ვერ იქნებოდა განხორციელებული, თუმცა გასათვალისწინებელია სხვა მოქმედ პროგრამებთან მიმართებაში უნივერსიტეტში დანერგილი პრაქტიკა და გამოცდილება.

2019 წლის სექტემბრიდან დეკემბრამდე პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გამართულ შეხვედრებზე გამოკვეთილი მოსაზრებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, ცვლილებები შევიდა თსუ-ში 2019 წლის შემოდგომის მიღებაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმებში. ამ ეტაპზე მიმდინარეობს პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლების გამოკითხვა, რომელთა შედეგები გამოყენებული იქნება სასწავლო პროცესის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული დასტურდება პროფესიული ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილესთან გასაუბრებით. ექსპერტთა ვიზიტის დროს ეს გამოკითხვები ჯერ დასრულებული არ არის და შესაბამისად, შედეგების ამსახველი ანალიზის დოკუმენტი ვერ ინებოდა წარმოდგენილი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- თსუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №96/2019 დადგენილებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების წესის დამტკიცების შესახებ;
- თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილებით №64/2019 - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - პროფესიული განათლების ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ;
- პროფესიული სტუდენტების, მასწავლებლების კითხვარებით;
- პარტნიორ დაწესებულებებთან შეხვედრების დასწრების ფურცლებით;
- პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

- ინტერვიუებით.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4. სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

---

1. პროფესიული პროგრამა “სკოლამდელი აღზრდა” მოიცავს დამტკიცებულ სასწავლო გეგმას, რომელის საფუძველზეც განხორციელდება სასწავლო პროცესი. სასწავლო გეგმის შედგენისას გათვალისწინებულია თსუ-ში 2018 წელს ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხოციელებიდან მიღებული პრაქტიკული გამოცდილება და მასწავლებელთა დატვირთვის რეალური შესაძლებლობები. ასევე, პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ კალენდარული გეგმის შემუშავების ვალდებულება მოდულის დაწყებამდე. კალენდარული გეგმის განახლებული ფორმა დამტკიცდა 2019 წლის დეკემბერში მასწავლებლებთან აქტიური კომუნიკაციის შემდეგ.

არსებული სასწავლო გეგმა უზრუნველყოს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას, სასწავლო კურსების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები, დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის, პროფესიული სტუდენტის სავარაუდო კვირეული დატვირთვა. თუმცა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესახებ დადგენილებაში (დადგენილება 94, 22.07. 2019, მუხლი 15, პუნქტი 5) შემდეგი ჩანაწერი - „იმ შემთხვევაში თუ მოდულის წინაპირობაა წინა მოდულის დაძლევა, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოდულზე სწავლის შედეგების დაუდასტურებლობის ან/და გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაიშვას მომდევნო მოდულზე, სწავლის დაწყებიდან ერთი კვირის ვადაში, თუ ამ პერიოდში არ დგება მოცემული მოდულის თუნდაც ერთი სწავლის შედეგის დადასტურების საკითხი“ არ შეესაბამება სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეალურ მოცემულობას და საჭიროებს კორექტირებას.

2. თსუ პროფესიული განათლების ცენტრი უზრუნველყოფს ეფექტიანი სასწავლო გარემოს შექმნას, სასწავლო პროცესის მუდმივ მონიტორინგს და პროფესიულ სტუდენტებთან ეფექტური უკუკავშირის მეშვეობით რეაგირებს მათ ინტერესებზე და საჭიროებებზე. ყოველი მოდულის დასრულების შემდეგ პროფესიული სტუდენტები ავსებენ ონლაინ კითხვარს, რომელიც არის ანონიმური და პროფესიულ სტუდენტს შეუძლია შეაფასოს მოდულის განხორცილების ეფექტიანობა, მასწავლებლის ჩართულობის დონე, კალენდარული გეგმის შესრულების დინამიკა, შეფასების ინსტრუმენტების ეფექტურობა, რესურსების ხელმისაწვდომობა და დატოვოს საკუთარი მოსაზრება/რეკომენდაცია სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის. რეგულარულად ხდება პროფესიულ სტუდენტებთან შეხვედრები და მეცადინეობებზე დასწრება. შეხვედრებიდან და გამოკითხვებიდან მიღებული ინფორმაცია გამოიყენება სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის.

3. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ ინდივიდუალური წვდომა საგანამანთლებლო მასალებთან, კომპიუტერებთან და კომპიუტერულ პროგრამებთან. ასევე, მოდულის სპეციფიკის გათვალისწინებით პროფესიული მასწავლებელი იყენებს სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებს.

4. სასწავლო პროცესში გამოვლენილი საჭიროებების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტისთვის პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, მოდულ(ებ)ს და ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებს.

5. პროფესიული პროგრამა “სკოლამდელი აღზრდა” არ ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკას, თუმცა დაწესებულება ერთ ერთ მოდულის პრაქტიკულ კომპონენტს ახორციელებს პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, რომელიც დასტურდება შესაბამისი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით და ხელშეკრულებით მემორანდუმი გაფორმებულია უვადოდ, განსაზღვრულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, ასევე პრაქტიკის ობიექტზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რაც პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის ერთ-ერთი საფუძველია. ი.ჯავახიშვილის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმი და ხელშეკრულება ქ. ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თოჯინების პროფესიულ სახელმწიფო თეატრთან.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სწავლება მიმდინარეობს შესაბამის უსაფრთხო გარემოში. ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, მოწყობილია სახანძრო დაფა და მონიშნულია ევაკუაციის მიმართულებები. დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო ბალონები. აუდიტორიები და კაბინეტები აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარების ინვენტარით. პროფესიული პროგრამა „ღონისძიების ორგანიზება“ განსაკუთრებულ მიდგომებს უსაფრთხოების დაცვაზე არ საჭიროებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამით „სკოლამდელი აღზრდა“:
- პროგრამის სასწავლო გეგმით;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი თსუ-სა და ქ. ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თოჯინების პროფესიულ სახელმწიფო თეატრს შორის
- მოსწავლის კითხვარები;
- თსუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №94/2019 დადგენილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ;
- სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის სტრუქტურა და დებულება;
- ინტერვიუირებით;

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა“ მოიცავს დამტკიცებულ სასწავლო გეგმას, რომლის საფუძველზეც განხორციელდება სასწავლო პროცესი. სასწავლო გეგმის შედგენისას გათვალისწინებულია თსუ-ში 2018 წელს ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხოციელებიდან მიღებული პრაქტიკული გამოცდილება და მასწავლებელთა დატვირთვის რეალური შესაძლებლობები. ასევე, პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ კალენდარული გეგმის შემუშავების ვალდებულება მოდულის დაწყებამდე. კალენდარული გეგმის განახლებული ფორმა დამტკიცდა 2019 წლის დეკემბერში მასწავლებლებთან აქტიური კომუნიკაციის შემდეგ.
   თსუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში დეტალურად არის გაწერილი პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცედურა, ხოლო შეფასების ინსტრუმენტის ფორმა ითვალისწინებს კონკრეტული პასუხისმგებელი პირის მიერ ინსტრუმენტის შეთანხმების პროცედურას. შეფასების ინსტრუმეტის შეთანხმება ხდება თსუ პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან. რამდენადაც აღნიშნულმა პროცედურებმა შესაძლებელია სრულად ვერ უზრუნველყოს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდურობა, პროფესიული განათლების ცენტრი გეგმავს შეიმუშაოს რეგულაცია, რომლის მიხედვით შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივ მხარეს შეითანხმებს დარგის სპეციალისტი და თსუ პროფესიული განათლების ცენტრის პირველი მოადგილე/სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი. ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი მის ვერიფიკაციას გააკეთებს დარგის მასწავლებლებთან ერთად. აღნიშნული რეგულაციის შემუშავება დაგეგმილია არა უგვიანეს 6 თვის პერიოდში.
   რაც შეეხება შეფასების სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას ის უზრუნვეყოფილია თსუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პრცესის მარეგულირებელი წესით, შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადამიანური რესურსით, შეფასების ინსტრუმენტის და კალენდარული გეგმის განახლებული ფორმებით, კალენდარული გეგმის შესრულების პროცესზე დაკვირვებით, განმავითარებელ/განმსაზღვრელ შეფასებებზე პერმანენტული დაკვირვებით და პროფესიულ სტუდენტებთან კომუნიკაცით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაცია მოიცავს შემდეგი მოქმედებების განხორციელებას: შეფასების ინსტრუმეტის შექმნის პროცესში მოდულის მასწავლებელი ვალდებულია შეფასების ინსტრუმენტი შექმნას მოდულით გათვალისწინებული მოთხოვნების, კალენდარული გეგმით გაწერილი მიმართულებების შესაბამისად და შეათანხმოს თსუ პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან, რის შემდეგაც ის დასრულებული სახით ხვდება პროფესიულ სტუდენტთან. შეფასების ინსტრუმენტების შექმნის პროცესში საჭიროებისამებრ ჩართულია პროგრამის ხელმძღვანელი.

დასრულებული შეფასების ინტრუმეტების შენახვასა და მათ მონიტორინგს უზრუნველყოფს პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი/პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმის მწარმოებელი მენეჯერი. პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის უზრუნვეყოფის მენეჯერის მიერ პერმანენტულად, თითოეული პროფესიული საგანმათლებლო პროგრამის მიხედვით, პროგრამის ხელძღვანელისა და მოდულების განმახორცილებელი მასწავლებელების ჩართულობით ხდება შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაცია.

ასევე, დაგეგმილია შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაცია სხვა პარტნიორ პსდ-თან თანამშრომლობით. ზემოთ მოხსენიებული ვერიფიკაციის მექანიზმი არ არის გაწერილი პროცედურის სახით; თსუ პროფესიული განათლების ცენტრი პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის პროცედურას შემუშავებას გეგმავს არა უგვიანეს 6 თვის პერიოდში.

2. თსუ-ში დოკუმენტების აღრიცხვა და შენახვა წარმოებს „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმისწარმოების ერთიანი წესის“ მიხედვით. თსუ პროფესიული განათლების ცენტრი დამატებით, პროფესიული პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით, შეიმუავებს პროცედურას, რომელიც უფრო ეფექტიანად უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას. ასევე, შეფასების უწყისის წარმოებას, შენახვას კანონმდებლობით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული წესის შესაბამისად. აღნიშნული პროცედურა შემუშავდება არა უგვიანეს 6 თვის პერიოდში.
3. პროფესიული სტუდენტების დადასტურებული შეფასებების ინსტრუმენტების შესწავლისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან გამართული შეხვედრების ანალიზის საფუძველზე შეიცვალა შეფასების ინსტუმეტისა და კალენდარული გეგმების ფორმები, რამაც ხელი შეუწყო მასწავლებლებს უფრო ეფექტიანად დაგეგმონ და განახორციელონ შეფასების პროცესი. მასწავლებელი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტების შედეგების გაცნობას ახორციელებს ინდივიდაუალურად ხოლო პროფესიული სტუდენტის თანხმობის შემთხვევაში ჯგუფშიც. მიღწეული სწავლის შედეგების გაცნობით იგეგმება შემდგომი ნაბიჯები სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვისა და დაძლევისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------

- თსუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №94/2019 დადგენილებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ;
- თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილებით №64/2019 - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - პროფესიული განათლების ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებე
- თსუ პროფესიული განათლების ცენტრის ადამიანური რესურსის სამუშაო აღწერილობებით;
- თსუ პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელის N 01/127-01 (26.11.2020) ბრძანებით კალენდარული გეგმის, შეფასების ინსტრუმენტის და უწყისი ფორმის დამტკიცების შესახებ;
- პროფესიული სტუდენტების კითხვარით;
- პროფესიულ სტუდენტებთან შეხვედრების დასწრების ფურცლებით.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან,პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითიმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

X. თანდართული დოკუმენტაცია

არ ახლავს
17 ივლისი 2020წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------